ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №30981

ნომერი: AR110754

თარიღი : 26.01.2012

გაცემის თარიღი : 30.01.2012

გაცნობის თარიღი : 30.01.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37 , (ნაკვეთი N3/134) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატო ალფაიძე პ/ნ 01010013199
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 2 ბ. 13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. მოთხოვნის შინაარსი არ შეესაბამება თქვენ მიერ არჩეულ ნომენკლატურას, კერძოდ ნომენკლატურის თანახმად საკითხი ეხება ღია აივნის ამოშენება–შემინვას. მოთხოვნის შინაარსი მიუსადაგეთ არჩეულ ნომენკლატურას ან შეარჩიეთ შესაბამისი ნომენკლატურა. ამასთანავე მოთხოვნის ტექსტში მიუთითეთ სარეკონსტრუქციო არეალის ადგილმდებარეობა (დააზუსტეთ შენობის რომელ ფასადზე ხორციელდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, გარე ფასადზე (ცენტრალურ ქუჩაზე გამომავალ ფასადზე) თუ შიდა ეზოს მხრიდან. გაითვალისწინეთ: მრავალბინიან საცხოვრებელი სახლების გარე ფასადზე, აივნების მიშენება ნებადართულია მხოლოდ ერთიანი პროექტის ფარგლებში, შიდა ეზოს ან შიდა კვარტალური გზის მხარეს გამომავალ ფასადზე კი აივნის მიშენება ნებადართულია ინდივიდუალურად.
2. ვინაიდან სარეკონსტრუქციო ობიექტი წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, ხოლო საპროექტო დავალებით გათვალისწინებულია ახალი ფართის (ამ შემთხვევაში აივნების) მოწყობა, წარმოდგენილი უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრების ოქმი, ჩასატარებელი სამუშოების განხორციელების თანხმობის მიცემის შესახებ, სავალდებულო 2/3 დამსწრე წევრთაგან ნახევარზე მეტის თანხმობით. (ნომენკლატურის სწორად არჩევისას საშუალება გექნებათ ატვირთოთ ამხანაგობის კრების ოქმი).
3. იმ შემთხვევაში თუ სარეკონსტრუქციო არეალი მდებარეობს შიდა ეზოს მხარეს გამომავალ ფასადზე, განაცხადით არქიტექტურის სამსახურს უნდა მომართოს სარეკონსტრუქციო ფართის მესაკუთრემ ან მისმა მინდობილმა პირმა (ასეთ შემთხვევაში დამატებით ატვირთული უნდა იყოს მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა), ხოლო თუ რეკონსტრუქცია ეხება რამოდენიმე ფართს, ასეთ შემთხვევაში დამატებით ატვირთული უნდა იყოს დანარჩენი სარეკონსტრუქციო ფართების მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები. გარე ფასადზე რეკონსტრუქციის განხორციელებისას განაცხადი უნდა შეავსოს ერთ–ერთი ფართის მესაკუთრემ (ან მისმა მინდობილმა პირმა, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ატვირთვით) და მასთან ერთად ატვირთული უნდა იყოს ყველა სარეკონსტრუქციო ფართების მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები.
4. განაცხადის შევსებისას საკადასტრო კოდში მიუთითეთ ყველა სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი წილობრივი მონაცემებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.